საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№117 (6343) 29 სექტემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

ხილის კრეფა გრძელდება

ცოტაც და შემოდგომის პირველი თვე დამთავრდება. რაიონის მშრომელებთან ერთად შემოდგომას ხელბარაქიანი შეხვდნენ ღვინიშელი მშრომელები.

ჩვენი კუთხის ამ მაღალმთიან რეგიონში კარგად მოისხა წელს ხილმა. მიუხედავად საწვავის უქონლობით გამოწვეული სიძნელეებისა, წარმატებით შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა, სულ დამამზადებელ ორგანიზაციებს აქაურმა მშრომელებმა 273 ტონა კურკოვანი ხილი ჩაბარეს, როცა გეგმა 247 ტონის დამზადებას ითვალისწინებდა.

ამოიწურა რა კურკოვანი ხილის რეზერვები, სოფლის მშრომელები თესლოვანი ხილის დამზადებას შუდგნენ. ამოცანა სერიოზულია —338 ტონა უნდა დაამზადონ. დაწყებულია ვაშლის კრეფა, ჯერჯერობით მხოლოდ 18 ტონაა გაგზავნილი დამამზადებელ ორგანიზაციებში, ხილი კი ძალზე ბევრია, მაგრამ გატანა ჭირს. მდგომარეობის გამოსწორებისათვის ყველაფერი უნდ გაკეთდეს, რათა მოსახლეობამ ზარალი არ განიცადოს ხილის ჩაბარება არ შეფერხდეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა

საქართველოს კომპარტია არჩევნებში მოწაწილეობს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად, როგორც თავის ურთიერთობას ყველა სხვა პარტიასთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ამყარებს თანასწორუფლებიან, პარიტეტულ საწყისებზე.

საქართველოს კომპარტია თავის უპირველეს და უმთავრეს მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ისეთი საზოგადოების მშენებლობას, რომელშიც რეალურად იქნება უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებების, ეროვნული და საკაცობრიო ინტერესების უზენაესობა; ამ მიზნის მისაღწევად უნდა შეიქმნას აუცილებელი კონსტიტუციური საფუძვლები და გარანტიები, სახელმწიფოს მართვის დემოკრატიულ - სამართლებრივი სისტემა, შემუშავდეს და განხორციელდეს ყოველმხრივ გააზრებული, კონსტრუქციული სახელმწიფოებრივი პროგრამები რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს კომპარტია დღეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გადაჭრით იცილებს თავიდან უცოდველობის კომპლექსს, წარსულის მძიმე ტვირთს, უკუაგდებს იდეოლოგიურ დოგმებს, ისწრაფვის აღმოფხვრას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი დეფორმაციები და დამახინჯებანი, უარი თქვა ძალაუფლების მონოპოლიაზე და მხოლოდ კონკრეტული საქმეებით, ერის ინტერესების მსახურებით ცდილობს განიმტკიცოს ავტორიტეტი; მიაჩნია, რომ ახალ პარლამენტში და შესაბამისად მთავრობაში ღირსეულად უნდა იყოს წარმოდგენილი რესპუბლიკის ყველა პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ხასიათისა და ფორმების განსაზღვრა, რაც საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეროგატივაა, უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნების სრული გათვალისწინებით.

საქართველოს კომპარტია საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ არჩევნების დემოკრატიულ ვითარებაში ჩასატარებლად აუცილებელია საზოგადოების განახლებისა და საერთო-ეროვნული ინტერესები აერთიანებდეს მთელ პროგრესულ ძალებს. სწორედ ისინი უნდა დავაყენოთ ყოველი პარტიის, ჯგუფისა და პიროვნების ინტერესებზე მაღლა. ეს არის ეროვნული თანხმობის მიღწევის უმთავრესი წანამძღვარი, უროგლიოდაც საერთო მიზანს ვერ მივაღწევთ.

საქართველოს კომპარტია მომავალ პარლამენტში იქნება ეროვნული ინტერესების, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის სულისკვეთების აქტიურად გამომხატველი, მოითხოვს და ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას, როგორიც არის:

სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ სფეროში:

—საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება;

—საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სათანადო კონსტიტუციური მექანიზმის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით;

—საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განუხრელი დაცვის მტკიცე სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფა;

—ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრება;

—საქართველოს მოქალაქეობის შემოღება;

—პარტიების შესახებ კანონის მიღება;

—ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლა;

—მბრძანებლურ -ბიუროკრატიული სისტემების სრული დემონტაჟი, ადმინისტრაციული რეფორმების გატარება და ყველა დონეზე ხელისუფლების განახლებული სტრუქტურების შექმნა;

—კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სახელმწიფო უშიშროების ეროვნული სამსახურების შექმნა;

—ეროვნული საკარისო შენაერთების ჩამოყალიბება;

—სათანადო საკანონმდებლო აქტის მიღება რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის შესახებ;

—დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის შექმნა;

—საქართველოს რეალური აღიარება საერთაშორისო სამართალსუბიექტად, გაერთიანებული ერებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრად მიღების მიღწევა;

—საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის საკანონმდებლო აქტების მიღება და მათი პრაქტიკული რეალიზაცია.

სოციალურ სფეროში:

—საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, მათი უფლებებისა და პირად თავისუფლებათა სრული რეალიზაცია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით;

—საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში მოსახლეობის სოციალური დაცულობის უზრუნველსაყოფად საგანგებო სამთავრობო პროგრამის შემუშავება და განხორციელება; დრამატებით უმუშევრებისათვის მტკიცე სოციალური და ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფა, მუშა-მოსამსახურეთა დასაქმების, ხელახალი სწავლებისა და გადამზადების მოქნილი სისტემის შექმნა;

—უსამართლო სოციალური შეღავათებისა და პრივილეგიების ლიკვიდაცია ნებისმიერი თანამდებობისა და რანგის მუშაკთათვის;

(დასასრული მე-2 გვერდზე).

პრობლემები დაგროვდა

ახლა ყველგან, ყველა სამრეწველო საწარმოში მასალების დეფიციტია, რაც ძალზე აფერხებს ნორმალური შრომის რიტმს. არ სრულდება საგეგმო დავალებები. მსგავსი მდგომარეობაა ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატში. აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ საწარმოს ეკონომისტს ლ. ყურაშვილს, რომელმაც გვითხრა:

პირველ რიგში მინდა ანალიზი გავუკეთო 8 თვის საგეგმო დავალებათა შესრულების მდგომარეობას. ადგილმრეწველობის კომბინატი სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმებს მიმდინარე წელს სისტემატურად ვერ ასრულებს, ასე მაგალითად, 8 თვეში გეგმით გათვალისწინებული 1075000 მანეთის ნაცვლად წარმოებული გვაქვს 896000 მანეთის სამრეწველო პროდუქცია და გეგმა მხოლოდ 83 პროცენტითაა შესრულებული. რა თქმა უნდა, კომბინატმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება ვერ შეძლო, 1061000 მანეთის ნაცვლად, რეალიზებულ იქნა 989,000 მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 93 პროცენტს შეადგენს.

გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი ნედლეულის უქონლობაა. ჩვენი მომწოდებელი ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის, „საქქსოვილეაჭრობის“ ბაზაა, საიდანაც ძირითადად გვიხდება ნედლეულის შემოზიდვა. ეს იწვევს გაურკვეველი ვადით ჩვენი შრომითი კოლექტივის მოცდენებს. ამას თან ერთვის საწვავის მწვავე დეფიციტი, რაც გარდა ნედლეულის შემოზიდვისა, ხელს გვიშლის შეკერილი ნაწარმის თავისუფლად რეალიზაციაში.

დიდ იმედს ამყარებდა კომბინატი ხე-ტყის საამქროზე, სადაც მზადდებოდა პარკეტი, სპეცთამასები, იატაკის საწმენდი ჯოხები, ფარდის ჯოხები და სხვა. ამჯერად ხე-ტყის შემოზიდვაც გაძნელდა. სახელმწიფო სატყეო მეურნეობამ შეგვიზღუდა ხე-ტყის მოწოდება და 8 თვეში ადგილმრეწველობის კომბინატს გამოშვებული აქვს 20 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმით კი 64 ათასი მანეთისა უნდა გვქონდეს.

ამჟამად კომბინატში მომარაგების მხრივ კვლავ ცუდი მდგომარეობაა. სექტემბერში შემოზიდულია მხოლოდ 8 ათასი მანეთის ქსოვილი, მეტი ნედლეულის შემოზიდვის იმედი ჯერჯერობით არა გვაქვს.

რაც შეეხება მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზას, გამოსავალი ერთია—ადგილმრეწველობის კომბინატი ბოლოსდაბოლოს ნამდვილი სახით უნდა ჩამოყალიბდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველაფერი, ყველა საწარმო, სადაც ადგილობრივ ნედლეულს აწარმოებენ (მინერალური წყლების ჩამოსხმა, ლიმონათის საამქრო, სასურსათო კომბინატი, ინერტული მასალების დამუშავება) ერთი პატრონის ხელში გაერთიანდეს. ასეთი საწარმოები ყველგან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში ერთად ფუნქციონირებენ და კოორდინაციას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი უწევს, ჩვენთან კი მსგავსი რამ არა და არ მოხერხდა, რაც ჩვენი ჩამორჩენის მთავარ მიზეზად მიმაჩნია.

ხვალ, 30 სექტემბერს ეროვნული კონგრესის არჩევნებია!

ქართველ ტრუდიმენელთა ... ...

ლიტერატურული გვერდი № 5

ღმერთო! ნეტავ როდემდე

ქართული სისხლით, ძვლითა და ხორცით
გაპოხილ მიწით
ნასაზრდოები ვაზის მტევნის ღვთიურ ნაყურით,
სავსე ფიალით დამილოცავს ენა ქართული,
ერი ქართველი და საქართველო ღვთისგან წათლული.
თუ სადღეგრძელო ლოცვა არის ქართველ კაცისგან,
მშობლიურ მიწის სიყვარულით ზეაღვლენილი,
მაშინ მისმინე, ღმერთო, ზენავ, ეს სადღეგრძელოც
და მომასწარი საქართველო კვლავ აღდგენილი.

იზოლდა მანდარია

„ღმერთო, მოუმადლე ქართველს ენარი,
ეს ქართველობდეს ხსაქართველოში“.

ნეტავ როდემდე
იტრიალებს ჩარხი ფულმა,
ნეტავ როდემდე
მოგვატყუებს მემატიანე,
ან კიდევ როდის ჩადგებიან
ულმეგი ქარები,
სულში ველური ქაოსი რომ
დაატრიალეს.
ნეტავ როდემდე
გაგრძელდება ეუცხლთან
თამაში,
ბართლომეს ღამე
გაგრძელდება ნეტავ როდემდე...
„მოძმეთა სისხლი ცად ავიდა
სამართალს ითხოვს“,
ღმერთო, სადა ხარ,
თუ არსებობ, ჩვენც
გადმოგვხედე!..

შემოდგომა სოფლად

შემოდგომაა და ვაზის ეშხით
გლეხკაცის კერა ნაგრამს
მოისევს,
შემოაბიჯებს მარანში გეშით,
აახარხარებს ქვევრს დიონისე.
ვერ გადურჩება ტომარას
ჭვალოს
და ყეტით ცემას ლობიო
ხმელი,
აჰა, მომდგარა ქორწილის ალო
და სოფლის თვალი დაწინდვას
ელის.
ჭირნახულია, არ ემეტება
კაცს მოწეულის
დაკარგვა მისხლის,
შეხეთ, საწნახელს ვეღარ
ეტევა
ადუღებული მაჭარის სისხლი.
შემოაცალეს ულვაში ოქრო
და მიუჩინეს ბინად ნალია,
კარზე ადებენ დამცველად
ბოქლომს,
მოეჩვენება სიმინდს გალიად.
შემოდგომაა და ვაზის ეშხით
გლეხკაცის კერა ნაგრამს
მოისევს,
შემოაბიჯებს მარანში გეშით
აახარხარებს ქვევრს დიონისე.

• • •

შესთეთრებია ბაბუს წვერი და
შემოსცვეთია ტარიც ყალიონს,
და განშორების დღეები ითვლის
თეთრ ღამეებს და ფერმკრთალ ალიონს.

ნაირა ღეშკაშელი

9 აპრილის გახსენება

გადაიხსნება ძვალი სახსარში,
დაიბადება სადღაც ტკივილი
და მთვარეულთა უხმო
გნიასში
გადაივაკებს სულის კივილი.
დედდება სისხლი მდორედ,
ვარდისფრად
და იშმუშნება სევდა მძინარი,
იმღამინდელი ზმანების ეკო
შეუერთდება სისხლის
მდინარეს.
ცარიელდება ცისფერი ვენა,
კაპილარებში დაძრწის
სიკვდილი,
ხარობს ურჩხული, ხარხარებს
ეშმა
და ეფინება ჭადრებს ტკივილი...

ნანა აკობიძე.

• • •

არა, მე წავალ, ვინ თქვა, დავრჩებოდი?
ვინ თქვა მწუხარების გადაუარება?
ცრემლში უნდა დავრჩე, ასე დაშორება
ვინძლო გამახსენოს ღია იარებმა.
ჩვეული ნებისყოფით დაღმა გავიტანე
სანამ მოთმინებას ბოლო დაელია.
ვინ თქვა მწუხარების გადაუარება?
უსიტყვო მორჩილებით სული გაილია.
იქნებ მოგეცადათ, სანამ გავამხელდი,
სანამ მორჩილების ზარხუფს ავამტვრევდი!

უფალო განკითხვისა

მე შენს მობრძანებას
ყოველ წამს ველოდი,
სურვილთა ნაკადიდან
სიწმინდეს ვძალავდი
მხოლოდ იმისათვის,
მხოლოდ იმისათვის,
შენ რომ დაგხვედროდი
სუფთა და ხალასი.
უფალო განკითხვისა,
დროულო მოკარნახევ,
მოხველ მოსამართლის დარი,
ცოდვა მომაშორე,
ცოდვა მომაშორე,
ცოდვა მომაშორე, მალე!
მომნანიებელი ფიქრი მომეჯარა,
ბიწმა გადატკეპნა სახე,
ღამე მომეძალა,
ღამე მომეძალა,
ფიქრი დამიმალე, ღამევ!
ღამის სიწყვდიადით
გადამალულები
ვიცი ის ცოდვებიც გამხელს.
არ მსურს დავუჯერო არც
ერთ მაცდუნებელს,
არ მსურს დავუჯერო ღამეს.
სხვისი არ ვიცი და
ჩემმა სიამაყემ
თავი დააფასა გროში,
წარმოგიდგენიათ,
ვნახე სიამაყე
მომნანიებელის როლში?!

ალიონები იგვიანებენ

(ჩანახატი)

ბაბუამ ნერგი მომცა ხელში. მეც მოვჩიჩქნე მიწა და ოდნავ დავუფარე ფესვები.

კარგად, კარგად ჩაფლე ბაბუ, ქარიშხალს ვერ გაუძლებს და იოლად მოტყდება.

გვიან ვიგრძენი მოახლოებული ქარიშხლის ხმა, რომელმაც ლამის სარკმელი შემოგლიჯა.

ტანსუსტი ნერგი ქარში ირწეოდა...

შორს, ძალიან შორს მოვიტოვეთ ჩაღვენთილი კოცონი, სადაც გულიანი, ღრმა ძილით ჩაძინებულები ილუზიურ სიზმრებს ვუცქერდით. ახლა კი აცხადების დრო დადგა, ცისფერი აცხადების. ცხოვრების მღვრიე ტალღას მორჩილად ადევნებულები ვფიქრობთ, ნაპირამდე ჯერ კიდევ შორია. სანამ მდინარე დაიწმინდება, კენჭები მზეზე აციფდება და მზე უსასრულოდ ღრმა ფსკერზე ჩაიხედავს.

კაცობრიობა იმ მღვრიე ტალღამ შთანთქა...

დღევანდელი ცხოვრება ფარდაჩამოხსნილი სულებია, სადაც იმ ღია ცისფერ უსასრულობაში აურზაურის, დროებითი მოუწესრიგებლობის, უპატრონოდ მიყრილ-მოყრილი ნივთების გარდა არაფერი გვეგულვის.

განაჩენს უფლისგან, თუ კაცისგან უნდა ველოდოთ. თითქოს ნერგი აგიღია ხელში, ჯერ კარგად შეათვალიერებ და მერე მიწაში ჩარგავ, რათა იხაროს, დაიტოტოს და ქვეყნიერების შუაგულში ამაყად იშრიალოს.

მაგრამ ყველა ნერგი როდი ამართლებს, რაც არ უნდა გულდასმით უპატრონო, ქვეყნიერების ფართო გზაზე ზოგან ლაღად შრიალებენ ხენი, ზოგან ჭკნებიან და გულმომკვლელად იმზირებიან.

ვინ ჰქმნა ცოდვა, რათა მრავალთა და მრავალთა მათი მდუმარე კვნესა ესმოდეს.

მაგრამ ჩვენც კაცნი ვართ, ფიქრის უნარი გაგვაჩნია. თუმცა ამ უბადრუკი ხეებივით ტოტებმოსხეპილები, ზეცაზე თვალმიპყრობილი ცარიელ სივრცეში უმწეოდ ვქანაობთ.

უფალმა განსჯისათვის საკუთარი მე გარგუნა, სული დაიხარწნა, გადაგვარდა, მაგრამ იმხელა უნარი მაინც შესწევს, რომ გითხრას:

ეძიებდე სიკეთის თესლს, რამეთუ ღმერთმა გარგუნა იგი შენ.

სულია, სული სხეულის მძიმე ცხრაკლიტული. როცა კალაპოტი იმღვრევა, ფიქრის ძაფი ქვეშითა და ღორღით იფარება, ადამიანურობიდან დაბლა ვეშვებით და ნიღაბს ამოფარებული სახეების დანახვა გვაკრთობს.

ო, ეს ნიღაბი თვალისამხვევი, ჭეშმარიტი, ჯერარდანახული სამყაროს მარადიული ფარდა.

იმღვრევა სცენა, დაღლილი მსახიობები ყოფას შეჩვეული სცენის შუაგულში, ერთმანეთთან ზურგებით მიყრდნობილი, მდუმარედ იცქირებიან კუთხისკენ, სადაც ვითომმკვდარი მსახიობი გულაღმა წევს.

იძინოს! ჯერ კიდევ ახლოა გათენება.

მიწაში კი წინაპართა ძვლების ღრიანცელი და ქართული სისხლის გოდება ისმის.

ალიონები იგვიანებენ, იგვიანებენ..

მინდორში კი ამაყად დგას ტოტებგაშლილი ხე და ქარიშხალს ებრძვის.

მთვარისა ბენდელიანი.

როგორაც მესმის...

როგორაც მესმის, ისე მოგყვებით,
მე მორჩილების სხვა გზა არ ვიცი.
ყველამ იწვნიოს სახრე ზურგზე და
ყველამ შეირგოს ლუკმა თავისი.
უნდა იცხოვროს კაცმა კაცურად,
მე უკვდავების სხვა გზას ვერ ვხედავ.
ერთგულება გვხვდეს, რა ბედენაა,
ქვეყნად ამდენი ცოდვის შემხედვარს?!

ნუნუ ლარცუღიანი

ფიფი

გაჰყარეს მიჯნურები: მთვარე და მზე,
ერთს წილად ხვდა ღამე, მეორეს დღე...
—ასე ისურვაო მაღალმა ღმერთმა,
გრძნეულთა ჩურჩული ვისმინე ერთმა.
უეცრად აზვირთდა ეული ღამე,
ელვამ გაანათა, გაჰკვეთა არე...
უკანასკნელად გაიბრძოლა ბედმა...
ჩამესმა, თითქოს იმღერა გედმა...
ნაღვლიანს ისედაც არ მაკლდა სევდა...
უეცრად მეწვია ნაცნობი ელდა!...
ნეკროლოგს ვუყურებ და ვეღარ ვამხელ,
წავაწყდი ძვირფასი მეგობრის სახელს.

დარეჯან ჩოგბოლიანი

14 დღე სასტუმროს ნახვრეტებში

მანილა. 14 დღე-ღამე გაატარა სასტუმრო „ხაიატის“ ნანგრევებქვეშ ქალაქ ბაგიონში 27 წლის პედრიტო დუმ. სასტუმროს რესტორნის შხარეული თავის ამხანაგებთან ერთად კატასტროფის დღეს ტანვარჯიშის დარბაზში ჩავიდა, რათა ცოტა ფიზიკურად წაეკარჯიშა. როცა სასტუმროს შენობა ჩაინგრა, პედრიტო დუ რკინაბეტონის კონსტრუქციებს არ გაუსრესია. ბედნიერი შემთხვევის გამო ტანვარჯიშის ლეიბებმა დარტყმა შეარბილეს, და იგი მცირე მოცულობის ქვის ტომარაში აღმოჩნდა, სადაც მოძრაობის საშუალებაც კი ჰქონდა. სწორედ ამან გადაარჩინა პედრიტო დუ.

(საკდესი).

ნინა საღინაძე

სკოლის პირველ ზარს წელს 50-ედ შეხვდებოდა. ყოველი ახალი სასწავლო წლის წინ ღელავდა, ღელავდა ისე, როგორც მაშინ, 1940 წელს, პირველად რომ შეაღო საკლასო ოთახის კარი. მღელვარების, განცდისა და სიყვარულის გარეშე ვერ იქნებოდა ნაღდი მასწავლებელი, კარგი პიროვნება, კარგი მეგობარი.

მოულოდნელია ყველასათვის ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, სახალხო განათლების წარჩინებულის ნინა ათანასეს ასული საღინაძის იმ დროს წასვლა, როცა ჯერაც ახალგაზრდად, მხნედ, ლამაზად გამოიყურებოდა, როცა ბავშვებს კვლავაც სჭირდებოდა აგრერიგად თბილი, მომთხოვნი, გულისხმიერი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გამოცდილი მასწავლებელი.

ჩვენთვის მძიმეა ისიც, რომ ამ ცრემლიანი სტრიქონების წერა მაშინ გვიხდება, როცა ჩვენი ქალაქის ქუჩები სავსეა მასწავლებლებით, ცაგერის საშუალო სკოლაში რაიონის პედაგოგები საგნობრივ სექციებში მუშაობენ.

პედაგოგიურ საზოგადოებას დააკლდა ერთი შესანიშნავი წევრი, პრინციპული, ერუდირებული პედაგოგი.

ნ. ა. საღინაძე დაიბადა 1923 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ლუხვანოში. 1940 წელს დაამთავრა ცაგერის პედაგოგიური სასწავლებელი და დაინიშნა ქვედა ლუხვანოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

1948 წლიდან იყო სკკპ წევრი.

1948 წელს ჩაერიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1954 წელს, ამის შემდეგ იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობს მშობლიურ სოფლის, ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

მისი გაკვეთილები, დატვირთული ეროვნული სულით, საქართველოს სიყვარულით, ზნეობრივი მომენტებით, დიდხანს გაჰყვება მის აღსაზრდელებს, მის პირად მაგალითზე გაიზარდა და აღზრდა გაგრძელდება ბევრი.

ნინა საღინაძემ ყოველგვარი პირადული შესწირა ახალგაზრდობის აღზრდას, თავის საყვარელ საქმეს, საზოგადოებრივ მოღვაწეობას—წლების მანძილზე იყო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პროპაგანდისტი, სხვა დავალებათა შემსრულებელი.

დაჯილდოებული იყო მედლებით, სიგელებით.

წავიდა ჩვენგან ქალბატონი ნინა, ერთი შესანიშნავი ქართველი ქალი. ახალი სასწავლო წლის პირველ გაკვეთილზე დუმილითა და ცრემლით პატივს მიაგებენ აღსაზრდელები მის ნათელ ხსოვნას, ყვავილებს არ მოაკლებენ მის წმინდა საფლავს.

განათლების განყოფილება
ქალთა რაიონული საბჭო.

ბილოცავთ

დუდუნა გორგასლიძეს
ლედი გურჯალიანს
იზო ხვადაგიანს
ელვარა გურჯალიანს
ჩიტო ჩაკვეტაძეს
ლეილა ასანიძეს

გილოცავთ შვილების მოწყობას უმაღლეს სასწავლებელში.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

დავით კაპიტონის ძე კოკალიანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამარჯვებას.

აღვის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მამუკა ვილიამის ძე გოლეთიანს

გილოცავთ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაცვას. გისურვებთ ახალ სამეცნიერო წარმატებებს.

ვენერა და რეზო სილაგაძეები.

თამარ გელას ასულ დაშნიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ კარგ სწავლას და ბედნიერ მომავალს. გაიზარდე დედისა და ყველა კეთილი ახლობლის სასახელო ქალი.

გიორგი დაშნიანი, ანა, დალი, მევლუდ ლიპარტელიანები.

ეთერ ბარაბაძეს

გილოცავთ შვილის, მამუკა ვილიამის ძე გოლეთიანისათვის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას. ვუსურვებთ წინსვლას და წარმატებას.

ტარიელ გუგავა ოჯახით.

ბილოცავთ

ახლადდაქორწინებულებს!

ლელა ჯემაღის ასულ ჭაბუკიანს
შერმადინ გორისის ძე ოინიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ინეზა, ეკა, თენგიზ, თემურ გვიშიანები.

ნანი ნოდარის ასულ ჯიაძეს
მალხაზ კადრიგის ძე ბენიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული და გამრავლება ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

შ. ს. ცაგერის რაიგანყოფილების დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები.

მადონა ბენიძეს
ბესიკ მუკბანიანს

გილოცავთ ბედნიერებას. უზენაეს სიყვარულსა და შვილთა სიმრავლეს განემტკიცებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

გასწორება

რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმის“ მიმდინარე წლის 25 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეების და წევრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილების ნაწილში— „ორბელის საარჩევნო უბნის წევრები“ გელოვანი ნაილი ვასილის ასულის ნაცვლად უნდა იწეროს **გელოვანი ნაიგი ვალიკოს ძე.**

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

კოოპერატივი გთავაზობთ

კოოპერატივ-მაღაზიაში ყოველდღიურად შეგიძლიათ შეიძინოთ სასურველი სახის ნამცხვარი: ხარისხი—უმაღლესი, ფასი—მოსახერხებელი. დაკვეთა მიიღება თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ყველა საზეიმო თუ სხვა საქმიანი ცერემონიალის შესაფერისად, 3 დღით ადრე.

გვენდეთ, უკმაყოფილო არ დარჩებით!

კოოპერატორთა გაერთიანება.

მეუღლე ინგა, შვილი გოგიტა, დედა რუსუდანი, მამა გრიშა, დები ზიტა, თამილა, ბიძები კოწია, კაკო, იური ახვლედიანები, ბიცოლები ლია, ნანი, ნანული, მამიდები პაშა, ქუქუნა, ნორა, სიძეები დათო, გენადი, ირაკლი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ გრიშას ძე ახვლედიანი

დაკრძალვა 30 სექტემბერს, კვირას, ქ. ბათუმში. გამოსვენება ლერმონტოვის ქ. №46-დან.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ზინა და მარო ყურაშვილებს მაზლის

გიორგი თერაპოლის ძე ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკები თანაუგრძნობენ ნანული საღინაძეს დის

ნინა საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ლიზა ჯაფარიძეს დედის

ნინა საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ჯამბულ და ნინო ასათიანებს დედისა და ბებიის

პისტი ასათიანის

გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ნანი ქომეთიანს დედის

ნუცა ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე დოდო გელოვანი, შვილები ლუნა, მზია, ტარიელი, და დონია, ძმა გრიგოლ ჭელიძეები, რძლები ზინა ალავიძე, მანანა კაპანაძე, ნანა კოხოძე, გუგული ხვადაგიანი, ლილი გულბანი, სიძეები ამირან მიქაბერიძე, ამირან გრძელიშვილი, ამირან ჯოხონელიძე, ძმისშვილები ფრიდონი, რეზო, ნათელა, დისშვილები მიხეილ, ბენია კაბოსნიძეები, ცოლისდა ბუბა გელოვანი, ქვისლები ავდიდ ჩარკვიანი, იაშა უგრეხელიძე, ცოლის დისშვილები ლუიზა, ჯანსუღ, ჯიმი ჩარკვიანები, თინათინ, ანდრო უგრეხელიძეები, მიხეილ, დათო ჭელიძეები, შვილთაშვილი ბესიკ გრძელიშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსის ძე ჭელიძე

დაკრძალვა 2 ოქტომბერს, სამშაბათს, 16 საათზე სოფელ სურმუშში.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ! ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.